ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9724333001
თარიღი:28/11/2024

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომა N- 20

დ. ლენტეხი. 20 ნოემბერი 2024წ

მიმდინარე წლის 20 ნოემბერს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სხომას ესწრება საკრებულოს 15 (თხუთმეტი) წევრი, საპატიო მიზეზით არ ესწრება საკრებულოს 6(ექვსი) წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ: მერის მოადგილე ზვიად ლობჟანიძე, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები: სოზარ ბენდელიანი, მედიკო ხვისტანი, ბაჩუკი გაზდელიანი და ტახუ ჩანქსელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. **,,2024 წლისათვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N-30 დადგენილების N-1 დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

   /მომხს: მერიის ადმინისტრაციის სამსახურეს უფროსი სოზარ ბენდელიანი/

2.,,ლენტეხის მუნიციპალიტეტში კლიმატო-ბალნეოლოგიური კურორტი მუაშის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 მარტის გ-97.97230901 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: მერიის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოადგილე დემური ლიპარტელიანი/

3. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ქონების ნუსხის

დამტკიცების თაობაზე.

/მომხს: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ბაჩუკი გაზდელიანი/

/თანამომხს: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა კომისიის თავმჯდომარე დალი ტვილდიანი/

4.ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის განვითარების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 (ცხრა) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს: მერიის განათლების, კულტურის, სპორტის განვითარების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის უფროსი მედიკო ხვისტანი/

5. 2025 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე.

/მომხს: მერის მოადგილე ზვიად ლობჟანიძე/

6. სხვადასხვა.

სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:

კენჭისყრის შედეგით: მომხრე - 15

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. **მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციის სამსახურის უფროსმა სოზარ ბენდელიანმა აღნიშნა, რომ ცვლილება შედის ,,2024 წლისათვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, სამტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N-30 დადგენილების N-1 დანართში. კერძოდ ეკონომიკური განვითარების სამსახურის ქონების აღრიცხვის და მართვის განყოფილების სტრუქტურაში- ,,ქონების აღრიცხვის და მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მაგივრად იქნება პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი"**

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

ღია კენჭისყრის შედეგით: მომხრე - 15

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი - ,,2024 წლისათვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, სამტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N-30 დადგენილების N-1 დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე - წარმოდგენილი სახით.

2. **მოისმინეს: მერის მოადგილემ ზვიად ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტში კლიმატო-ბალხეოლოგიური კურორტი მუაშის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე"ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 მარტის გ-97.97230901 განკარგულებაში ცვლილება შედის სათაურში და**

უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტში კლიმატო-ბალნეოლოგიური კურორტი მუაშის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

სხდომის წევრებმა ღია კენჭისყრით:

მომხრე -15

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მოწონებული იქნას განკარგულების პროექტი - .,,ლენტეხის მუნიციპალიტეტში კლიმატო-ბალნეოლოგიური კურორტი მუაშის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 მარტის გ-97.97230901 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

3. **მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა ბაჩუკი გაზდელიანმა სხდომის წევრებს გააცნო საკითხი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ქონების ნუსხის დამტკიცების თაობაზე. კერძოდ ეს უძრავი ქონება არის სტალინის ქუჩაზე მდებარე იუსტიციის ყოფილი შენობა.**

აზრი გამოთქვა: სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა - საკითხი განხილული იყო საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომაზე და კომისიამ დადო დასკვნა.

დასკვნა სხდომის წევრებს გააცნო კომისიის თავმჯდომარემ დალი ტვილდიანმა. კომისიის გადაწყვეტილების თანახმად: მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ მოხდეს აკრედიტირებული ექსპერტიზის მოწვევა, დაიდოს შესაბამისი დასკვნა და პრივატიზაციის შემთხვევაში მოხდეს მისი კანონიერი შეფასება, ამის შემდეგ მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილება გაყიდვა გასხვისების თაობაზე.

აზრი გამოთქვა: ფრაქცია,,მოქალაქეები საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ ნინო ბეხდელიანმა - მისი აზრით, რაიონს არ აქვს გასაყიდი და დასაკარგი შენობები. იმ ფონზე როცა ბაღს, სკოლას და აიპ-ებს არ აქვთ შენობები, მას საზოგადოებასთან ერთად გაუჩნდა უამრავი კითხვა ამ საკითხთან დაკავშირებით. წლებია არის ამ საკითხზე მსჯელობა და რატომ გააქტიურდა ახლა ეს საკითხი?

სხდომის თავმჯდომარემ პასუხად აღნიშნა, რომ საკრებულო ენდობა მერიას და უნდა მივცეთ თანხმობა აღნიშნული ქონების აუქციონზე გატანის. არავინ არ შეიზღუდება ამ აუქციონში მონაწილეობაზე. ქონება უნდა შეფასდეს ექსპერტიზის მიერ კანონიერად და რაიონის ბიუჯეტმა მიიღოს სარგებელი.

კითხვა დასვა ფრაქციის წევრმა ირინა ლიპარტელიანმა: თუ ეს ქონება იყო ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე რა მოტივით დაიბრუნა რაიონმა?

პასუხად ეკონომიკის სამსახურის უფროსმა ბაჩუკი გაზდელიანმა აღნიშნა, რომ მოტივი იყო რაიონის სხვადასხვა საჭიროება.

აზრი გამოთქვა: ფრაქცია ,,ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ მურადი ჩანქსელიანმა - 25 წლის წინ რაიონში მომხდარი სტიქიური მოვლენის - წყალდიდობის შედეგად ამ შენობაში ადგილობრივი ხელმძღვანელობის გადაწვეტილებით დროებით შესახლდა კერძო ოჯახი და ამ ოჯახის წყალობით შენარჩუნდა ეს შენობა. ეს ოჯახი რომ არა ეს შენობა იქნებოდა აბსოლიტურად განადგურებული. საკითხთან დაკავშირებით იყო აზრთა სხვადასხვაობა.

გარკვეული მსჯელობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -11

წინააღმდეგი -0

თავი შეიკავა - 4

გადაწყვიტეს: მოწონებული იქნას განკარგულების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ქონების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

4. **მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის განვითარების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის უფროსმა მედიკო ხვისტანმა სხდომის წევრებს წარუდგინა ანგარიში სამსახურის მიერ 2024 წლის 9 (ცხრა) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა ჩატარებულ ღონისძიებებზე და მიღწეულ შედეგებზე. ამავე დროს ხაზი გაუსვა ბაგა-ბაღებთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებს, რომ არ არის შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ვერ დააკმაყოფილებენ ავტორიზაციის პროცესს.**

აზრი გამოთქვა: ფრაქცია ,,ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილემ ამირან ქურასბედიანმა - სამსახურს აქვს ძალიან კარგი ნამუშევარი და მისი მუშაობა შევაფასოთ დადებითად.

აზრი გამოთქვა: სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა - ანგარიშიდან ჩანს, რომ სულ ჩატარდა 62 ღონისძიება და სამსახური ნამდვილად იმსახურებს საუკეთესო შეფასებას.გვაქვს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მომავალში სამსახურმა მოგვაწოდოს სრული ინფორმაცია ღონისძიებების ჩატარებაზე, თუ როგორ ხდება ამ ღონისძიებების დაფინანსება. ვფიქრობთ, რომ უმჯობესი იქნება ღონისძიებები გაერთიანდეს და გამოცხადდეს ტენდერი. ამით უფრო გამჭვირვალე გახდება ღონისძიების დაფინანსების პროცესი და შემსრულებელი იქნება პასუხისმგებელი აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსების მიზნობრიობაზე და ორგანიზებაზე.

სხდომის თავმჯდომარე ამავე დროს დაინტერესდა კულტურის სამინისტროდან გადმოცემული ინვენტარის განაწილების შესახებ.

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი მოწესრიგებულია მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე და განაწილების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება საკრებულოს.

სხდომის თვმჯდომარემ სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის დადებითად შეფასება დაადგინა ღია კენჭისყრაზე.

სხდომის წევრებმა ღია კენჭისყრით:

მომხრე -15

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის განვითარების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 (ცხრა) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დადებითად.(ანგარიში თან ერთვის)

5.მოისმინეს:მერის მოადგილემ ზვიად ლობჟანიძემ ბიუროს წევრებს გააცნო 2025 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები. მან დეტალურად გაშიფრა თითოეული პროექტის მიზნობრიობა.

აზრი გამოთქვა: გიორგი გაზდელიანმა - საკითხი გავლილია ბიუროს სხდომაზე და ყველა შენიშვნა პროექტებთან დაკავშირებით გათვალისწინებულია, აღნიშნა, რომ პროექტების შერჩევის დროს განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება იმ სოფლებზე, რომელთაც არ შეხებიათ ჩასახლება. ამავე დროს მან სთხოვა მომხსენებელს, რომ ჯოკია მეშველიანის სახელობის სკვერის გაკეთების დროს გათვალისწინებული

იქნას ბენდელიანების უბნის მაცხოვრებლების თხოვნა ძველი შენობის ადგილას ახალი შენობის აგების თაობაზე. რა თქმა უნდა გამოყოფილი თანხის ფარგლებში ვერ მოხერხდება შენობის აშენებაც და პარკის მოწყობაც, მაგრამ პროექტი უნდა გავხადოთ გარდამავალი.

აზრი გამოთქვა : ფრაქცია ,,ქართული მოცნება-დემოკრატიული საქართველოს „ თავმჯდომარემ ირაკლი ქურასბედიანმა. ეს პროექტი არის რაიონისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და უნდა გაკეთდეს ძალიან კარგად. თუ გამოყოფილი თანხა ვერ ეყოფა, პროექტი უნდა გახდეს გარდამავალი.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა მერიის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოადგილემ დემური ლიპარტელიანმა - რომ არ მოსწონთ აღნიშნული პროექტი და მოწვეული ჰყავთ შესაბამისი პროექტორები.

იყო შეკითხვები სხვადასხვა პროექტებთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა პასუხი გასცა ყველა შეკითხვას.

სხდომის წევრებმა ღია კენჭისყრით:

მომხრე - 15

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მოწონებული იქნას განკარგულების პროექტი - 2025 წლის პროექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

6.სხვადასხვა.

1. **საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ აღნიშნა, რომ შემოსულია წერილი პარლამენტის შესაბამისი კომიტეტიდან საბავშვო ბაგა- ბაღების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე და თანამშრომლების პროფესიულ გადამზადებაზე. შესაბამისად ეს საკითხი უნდა გახდეს წინ წამოწეული თემა.**

   საკითხიდან გამომდინარე სხდომის თავმჯდომარემ დაავალა მერიის განათლების, კულტურის, სპორტის განვითარების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის უფროსს მედიკო ხვისტანს - ორგანიზება გაუკეთოს ბაგა-ბაღების გაერთიანების უფროსის და მშობლების შეხვედრას და მიაღწიონ შეთანხმებას ბავშვებისთვის საუკეთესო ფართის და კომფორტული გარემოს გამოხახვის თაობაზე.

2.მოისმინეს: ჩიხარეშის თემის მაჟორიტარმა დეპუტატმა სოსო ავალიანმა აღნიშნა, რომ ნაცულის მიმართულებით გაყინულია გზები და მერიამ უნდა იზრუნოს ამ პრობლემის მოგვარებაზე, კერძოდ უახლოეს პერიოდში მოხდეს მარილიანი ქვიშის ატანა და გზის მოხრეშვა.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა დასრულდა 14 საათზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი